თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი #18

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი– 26, სტუდენტი– 0, სულ– 26 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

*3.* თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და ,,ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

5. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია ჯიბლაძის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

6. თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

7. თსუ მინიმალური სტანდარტის განხილვა

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

8. აკადემიურ პოზიციაზე კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების შესახებ

*/ფაკულტეტის დეკანი გ. ღაღანიძე/*

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

*/ფაკულტეტის დეკანი გ. ღაღანიძე/*

10. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის #18 სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა ისაუბრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ:

1. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“**

   ა. პროგრამის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში პროფ. ელენე ხარაბაძე ჩანაცვლდა პროფ. ლევან საბაურის მიერ;

ბ. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორად ერთი სემესტრის ვადით დამტკიცდა პროფ. თემურ შენგელია;

გ. განისაზღვრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება" შუალედური გამოცდებისთვის ორკვირიანი პერიოდი (მე-8 და მე-9 კვირა);

დ. მენეჯმენტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „კროს-კულტურული მენეჯმენტი" მაგისტრატურის მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო სწავლების საფეხურიდან გადატანილ იქნა ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსად და იქნება „ ორგანიზაციულ ქცევასთან" ერთად პარალელურად. აღნიშნულ სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და არის წინაპირობის გარეშე;

ე. მენეჯმენტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „მმართველობითი კონსალტინგი" მაგისტრატურის სწავლების საფეხურიდან გადატანილ იქნა ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსად და იქნება „ საზოგადოებრივ ადმინისტრირებასთან" ერთად პარალელურად. აღნიშნულ სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და არის წინაპირობის გარეშე;

ვ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსს „მმართველობითი აღრიცხვა I" მოეხსნა წინაპირობა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" და არის წინაპირობის გარეშე;

ზ. შეიცვალა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსის „მმართველობითი და ფინანსური ანალიზი" დასახელება შემდეგით: „მმართველობითი ანალიზი";

თ. შეიცვალა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსის „შიდა აუდიტი" წინაპირობა. წინაპირობად განისაზღვრა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" ნაცვლად „ფინანსური აღრიცხვისა" (10 კრედიტი);

ი. შეიცვალა სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" სახელწოდება შემდეგით: „ადამიანური რესურსების მართვა". ასევე, ძირითად ლიტერატურად მითითებულია ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის ახალი სახელმძღვანელო „ადამიანური რესურსების მართვა", რომლის საფუძველზეც მოხდა სილაბუსში ცვლილებების განხორციელება;

კ. პროგრამის თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა" (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, ავტ. გ. შაბაშვილი);

ლ. გადამუშავდა შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: „კორპორაციათა ფინანსებები“, „ინტერნეტ-მარკეტინგი“;

მ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსი“ მაგისტრატურის სწავლების საფეხურიდან გადატანილ იქნა ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში თავისუფალ არჩევით კურსად;

ნ. შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსის „აუდიტის საფუძლები“ წინაპირობა. წინაპირობად განისაზღვრა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ ნაცვლად „ფინანსური აღრიცხვისა“ (10 კრედიტი).

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

გაიმართა კენჭისყრა

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #1).

2. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“**

ა. პროგრამის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში პროფ. ელენე ხარაბაძე ჩანაცვლდა პროფ. ლევან საბაურის მიერ;

ბ. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად ერთი სემესტრის ვადით დამტკიცდა პროფ. ნუგზარ თოდუა;

გ. განისაზღვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“ შუალედური გამოცდებისთვის ორკვირიანი პერიოდი (მე-8 და მე-9 კვირა);

დ. დამტკიცდა სასწავლო კურსის „პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსი;

ე. დამტკიცდა სასწავლო კურსის „კვლევითი პროექტის" სილაბუსი. შეიცვალა აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა ნაცვლად 10 კრედიტისა განისაზღვრა 5 კრედიტი (წინაპირობა: სტუდენტი დარეგსტრირებული უნდა იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის რომელიმე არჩევით მოდულზე);

ვ. პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა" (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, II გაზაფხულის სემესტრი, ავტ. ე. ლეკაშვილი, გ. შაბაშვილი);

ზ. მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი: „კვლევის მეთოდები მენეჯმენტში" (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, II გაზაფხულის სემესტრი, ავტ. დ. ნიჟარაძე);

თ. შეიცვალა მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსის „ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება" სტატუსი და გახდა არჩევითი სასწავლო კურსი;

ი. ფინანსები და საბანკო საქმის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსის „საბანკო სისტემის საერთაშორისო რეგულირება" სახელწოდებიდან ამოღებულია სიტყვა „საერთაშორისო", შესაბამისად, სასწავლო კურსის სახელწოდება იქნება: „საბანკო სისტემის რეგულირება";

კ. ფინანსებისა და საბანკო საქმის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, II გაზაფხულის სემესტრი, ავტ. ნ. თოდუა );

ლ. გადამუშავდა შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა და სწავლის შედეგები: „ფინანსური მენეჯმენტი", „ფინანსური სისტემა და რეგულირება", „საბანკო სისტემის რეგულირება". „საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა" (შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი. კერძოდ, დაემატა ნ. ასლამაზიშვილი), „საერთაშორისო ლოგისტიკა", „საერთაშორისო ორგანიზაციები", „ოფშორული ბიზნესი", „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში", „საინვესტიციო პროექტების მართვა";

მ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა „კვლევის მეთოდები ბიზნესში" (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, III შემოდგომის სემესტრი, ავტ. დ. სიხარულიძე);

ნ. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ

მენეჯმენტში“ (5 კრედიტი, წინაპირობის გარეშე, II გაზაფხულის სემესტრი, ავტ. დ. სიჭინავა და რ. სეთურიძე);

ო. სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობების ჩამონათვალს დაემატა ახალი პუნქტი: „აკადემიური წერა“.

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

**პროფ. ნ. თოდუამ** აღნიშნა, რომ აღნიშნული სტრუქტურა დასახვეწია და ბევრი გაურკვევლობაა. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე შეთანხმება არ მომხდარა, ამიტომ ის მხარს არ უჭერს აღნიშნული სტრუქტურის დამტკიცებას.

გაიმართა კენჭისყრა

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 25**

**წინააღმდეგი – 1**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #2).

3. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“**

**ა.** შევიდა ცვლილება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ და სავალდებულო სასწავლო კურსები „ინგლისური ენა 1“, „ინგლისური ენა 2“ „ინგლისური ენა 3“ „ინგლისური ენა 4“ შეიცვალა შესაბამისად „უცხო ენა 1“, „უცხო ენა 2“, „უცხო ენა 3“ „უცხო ენა 4“. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლება უზრუნველყოფილი იქნება B1 დონიდან თსუ უცხო ენების ცენტრის მიერ მომზადებული შესაბამისი სილაბუსებით.

**ბ.** განისაზღვრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ შუალედური გამოცდებისთვის ორკვირიანი პერიოდი.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #3).

4. **სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ შევიდა ცვლილებები აკრედიტაციის პროცესის მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით. კერძოდ:

ა. სასწავლო კურსი - „ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში“ გამდიდრდა ტუროპერატორული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის თემატიკით, დაემატა შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა და განახლდა რიდერი;

**ბ.** სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა საგანი „სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში“;

**გ.** საგანი „ტურიზმის პოლიტიკა“ გადატანილია არჩევითი სასწავლო კურსის კატეგორიაში;

**დ.** სწავლის შედეგების დასაკონკრეტებლად, მიღებული იქნა შემდეგი ფორმულირება: „სტუდენტს შეუძლია ცალკეული სასწავლო კურსებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე დისციპლინათაშორისი კავშირების გათვითცნობიერება, ტურიზმთან დაკავშირებული კომპლექსური პროცესების და ტენდენციების კონცეპტუალიზაცია, მათი განხილვა საქართველოსთან მიმართებაში და შეძენილი ცოდნის პროფესიული კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან“;

**ე.** გამარტივდა პროგრამაში სწავლის შედეგების, კერძოდ - ცოდნა და გაცნობიერების სტანდარტის 1.1. პუნქტის ფორმულირება და იგი შეიცვალა შემდეგი სახით: ღრმა და სისტემური ცოდნა: სტუდენტს გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ბიზნესის ორგანიზებასა და მენეჯმენტში, საინფორმაციო სისტემების და ინოვაციური კონცეფციების აქტიური გამოყენებით, ასევე, შესწავლილი აქვს ტურიზმის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დარგის მართვის უახლესი კონცეფციები და მიდგომები, მდგრადი განვითარების სტრატეგიული და ოპერატიული კონცეფციები, რომლებიც ითვალისწინებენ მულტიდისციპლურ, მ.შ. ინოვაციურ ტრანსდისციპლინურ მიდგომებს, დაუფლებულია სტატისტიკური და ტურისტული მოვლენების კვლევის ხარისხობრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს.

**ვ.** ამოღებულია სწავლის უნარების სტანდარტის 5.5. პუქტი, დაზუსტებულია ამავე სტანდარტის 5.4. პუქტი.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #4).

5. **საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“**

ა. ეკონომიკის საბაკალავრო პროგამაში განხორციელდა ხელმძღვანელების ცვლილება. კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკის მოდულის ხელმძღვანელად დამტკიცდა აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, ხოლო ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის მოდულის ხელმძღვანელად პროფ. სიმონ გელაშვილი;

ბ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის“ მოდულის სასწავლო კურსის „სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში“ დასახელება შეიცვალა დასახელებით „სტატისტიკური პროგნოზირების საფუძვლები“; დაზუსტდა თემატიკა;

გ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ეკონომიკის“ მოდულის სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები“ (ავტორი ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი) ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები“ (ავტორები ასოც. პროფ. ლელა ბახტაძე, ასოც. პროფ. მიხეილ თოქმაზიშვილი);

დ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ეკონომიკის“ მოდულის სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“ სილაბუსი (ავტორი ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი) ჩანაცვლდა ახალი ავტორების (აკადემიკოსი, პროფ. ავთანდილ სილაგაძე, ასოც. პროფ. ლელა ბახტაძე, თამაზ ზუბიაშვილი, რამაზ ფუტკარაძე, შოთა ვეშაპიძე) მიერ წარმოდგენილი სილაბუსით;

ე. ეკონომიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის (სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკა“ სილაბუსი (ავტორი ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი, ასისტ. პროფ. ლ. ჯამაგიძე) ჩანაცვლდა პროფესორ ა. სილაგაძის ავტორობით წარმოდგენილი სილაბუსით;

ვ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების „საერთშორისო ეკონომიკა 1“, „საერთშორისო ეკონომიკა 2“, „მაკროეკონომიკა 1“ და „მაკროეკონომიკა 2“ სილაბუსებში შევიდა გარკვეული ცვლილებები - შეიცვალა სასწავლო კურსის განმახორციელებლები და გამოცდის ფორმატი;

ზ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „ეკონომიკური აზრის ისტორია" (ავტორი პროფ. ა. სილაგაძე, ასოც. პროფ. ჯ. ხარიტონაშვილი) სილაბუსში დაკორექტირდა ცალკეული უზუსტობები;

თ. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შუალედური გამოცდები ჩატარდება მე-8 და მე-9 კვირაში.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #5).

6. სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

ა. საერთშორისო ეკონომიკის მოდულში ამოღებულია სასწავლო კურსები: „გლობალური ეკონომი¬კური კრიზისები და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი“ (არჩევითი, მე-2 გაზაფხულის სემესტრი); „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ (არჩევითი, მე-3 შემოდგომის სემესტრი); „ტნკ–ები და გლობალური სტრატეგიები“ (არჩევითი, მე-3 შემოდგომის სემესტრი); „საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა“ (არჩევითი, მე-3 შემოდგომის სემესტრი);

ბ. ბიზნესის ეკონომიკის მოდულის სასწავლო კურსის „დანახარჯი-სარგებლის ანალიზი 2“ წინაპირობა „მიკროეკონომიკა II“ შეიცვალა წინაპირობით „დანახარჯი-სარგებლის ანალიზი 1;

გ. ბიზნესის ეკონომიკის მოდულში ამოღებულია სასწავლო კურსი „ტნკ–ები და გლობალური სტრატეგიები“ (არჩევითი, მე-2 შემოდგომის სემესტრი);

დ. „ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის“ მოდულში სასწავლო კურსი „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე“ შეიცვალა სასწავლო კურსით „საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე“ (ავტორი ე. ლეკაშვილი);

ე. „ეკონომიკიური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის“ მოდულში სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა“ სილაბუსი წარმოდგენილია ასოც. პროფ. ი. გოგორიშვილის ავტორობით. აღნიშნული კურსი მესამე სემესტრიდან გადატანილია მეორე სემესტრში;

ვ. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შუალედური გამოცდები ჩატარდება მე-8 და მე-9 კვირაში.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში (დანართი #6).

7. **პროფესიული პროგრამა „შემფასებელი“**

ა. პროფესიული პროგრამის „შემფასებელი“ ხელმძღვანელებად მ. ჯიქიასა და მ. მაისურაძის კანდიდატურების წარდგენა (ამჟამინდელი მდგომარეობა: პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან საბაური, თსუ-ს ასოც. პროფესორი, პროგრამის კოორდინატორი: ზეინაბ ახალაძე, აკადემიური დოქტორი).

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **პროფესიულ პროგრამაში „შემფასებელი“** (დანართი #7).

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში, კერძოდ:

**1. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში:**

ა. პროფ. ელენე ხარაბაძე ჩანაცვლდა პროფ. ლევან საბაურით - პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ. დაემატა სოლომონ ადეიშვილი - მაგისტრანტი;

გ. დაემატა შოთა გაბადაძე - მაგისტრანტი;

დ. დაემატა ზურაბი ღვალაძე - მაგისტრანტი;

ე. დაემატა თინათინ ფეიქრიშვილი - კურსდამთავრებული;

ვ. დაემატა მარიამ მათიაშვილი - კურსდამთავრებული;

ზ. შეიცვალა სოფიკო ფიცხელაურის სტატუსი. ნაცვლად მაგისტრანტისა - კურსდამთავრებული.

**2. ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში:**

ა. შეიცვალა ნინო ტალიკაძის სტატუსი. ნაცვლად მაგისტრანტისა - დოქტორანტი.

**3. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში:**

ა. პროფ. ელენე ხარაბაძე ჩანაცვლდა ლევან საბაურით - პროფესორი;

ბ. ტერი ბუტე ჩანაცვლდა ელეონორე გარნიეთი - საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ატაშე სამეცნიერო და საუნივერსიტეტო თანამშრომლობის დარგში;

გ. დაემატა ნინო ტალიკაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დ. დაემატა რევაზ ვარდიაშვილი - ბაკალავრიატის სტუდენტი;

ე. ანი ფხოველიშვილი - ბაკალავრიატის სტუდენტი;

ვ. ტარიელ გაგელიძე - მაგისტრანტი;

ზ. ჯეინ გიორგობიანი - მაგისტრანტი.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში აღნიშნული ცვლილებები (დანართი #8).

**მოისმინეს**: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და ,,ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 29 აგვისტოს (ოქმი #37, 29.08.2018) და 2018 წლის 12 სექტემბრის (ოქმი #39, 12.09.2018) სხდომის ოქმებით გათვალისწინებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და ,,ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში (დანართი #9 და დანართი #10).

**მოისმინეს**: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან შემოსულია ი. მშვენიერაძის და მ. გოგოჭურის წერილი (N 26254/29 26254-29-3-201812200937 20/12/2018), რომლითაც ითხოვენ 2018-2019 სასწავლო წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის“ მე-5 საფეხურის 8 კურსდამთავრებულთათვის პროფესიული

კვალიფიკაციის მინიჭებას. წერილს თან ერთვის დოკუმენტაცია, რომელიც შემოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

პროფ. ე. ხარაიშვილმა დააყენა საკითხი, რათა მიენიჭოს ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის“ მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2018-2019 სასწავლო წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2018 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| | გვარი, სახელი | პირადი ნომერი | ათვისებული კრედიტების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ადომლიშვილი ნინო | 01009016874 | 115 | ქართულენოვანი |
| 2 | ასილაძე დავითი | 01027073783 | 115 | ქართულენოვანი |
| 3 | გამეზარდაშვილი ხათუნა | 54001004355 | 115 | ქართულენოვანი |
| 4 | გერაშჩენკო ელენა | 01005022296 | 145 | არაქართულენოვანი |
| 5 | დათუაშვილი სოფიო | 01024024509 | 115 | ქართულენოვანი |
| 6 | მიქაძე გიორგი | 01030035772 | 115 | ქართულენოვანი |
| 7 | შუბლაძე ანა | 35001117987 | 115 | ქართულენოვანი |
| 8 | ცომაია ნონა | 01009012026 | 115 | ქართულენოვანი |

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის“ მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2018-2019 სასწავლო წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2018 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| | გვარი, სახელი | პირადი ნომერი | ათვისებული კრედიტების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ადომლიშვილი ნინო | 01009016874 | 115 | ქართულენოვანი |
| 2 | ასილაძე დავითი | 01027073783 | 115 | ქართულენოვანი |
| 3 | გამეზარდაშვილი ხათუნა | 54001004355 | 115 | ქართულენოვანი |
| 4 | გერაშჩენკო ელენა | 01005022296 | 145 | არაქართულენოვანი |
| 5 | დათუაშვილი სოფიო | 01024024509 | 115 | ქართულენოვანი |
| 6 | მიქაძე გიორგი | 01030035772 | 115 | ქართულენოვანი |
| 7 | შუბლაძე ანა | 35001117987 | 115 | ქართულენოვანი |
| 8 | ცომაია ნონა | 01009012026 | 115 | ქართულენოვანი |

**მოისმინეს**: პროფესიული მოდულური პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების საკითხი

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია პროფ. ლ. საბაურის წერილი, რომელსაც თან ახლავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის სხდომის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც კათედრას მიზანშეწონილად მიაჩნია პროფესიული მოდულური პროგრამის ,,შემფასებელი“ ხელმძღვანელებად დამტკიცდეს ასოც. პროფ. მ. ჯიქია და ასოც. პროფ. მ. მაისურაძის კანდიდატურები.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს პროფესიული მოდულური პროგრამის ,,შემფასებელი“ ხელმძღვანელებად ასოც. პროფ. მ. ჯიქია და ასოც. პროფ. მ. მაისურაძე.

**მოისმინეს:** ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია ჯიბლაძის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემს აღნიშნა, რომ შემოსულია დოქტორანტ ნ. ჯიბლაძის წერილი იმის შესახებ, რომ მას სურს ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილის ნაცვლად სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ ხელმძღვანელად პროფ. მ. თოქმაზიშვილის დანიშვნა.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

გაიმართა კენჭისყრა

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია ჯიბლაძის მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. მ. თოქმაზიშვილი.

**მოისმინეს:** თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ ისაუბრა თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე რამდენჯერმე მოხდა ამ ცვლილებების საკითხის გამოტანა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მხოლოდ კომისიის შექმნის თაობაზე მივმართოთ სადისერტაციო საბჭოს ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისა და დეკანის წარდგინების შემდეგ. ფაკულტეტების საბჭოებმა უნდა განიხილონ და დაამტკიცონ აღნიშნული ცვლილებები.

ქალბატონმა მ. ლობჯანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო შენიშვნები, რომელიც ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. დ. ნარმანიამ, აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ნ. ხადურმა, პროფ. ი. ანანიაშვილმა, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. ნ. თოდუამ.

**აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ** აღნიშნა, რომ მას შენიშვნები აქვს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნასთან დაკავშირებით, დისერტაციის მოცულობის შესახებ, დოქტორანტების პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა ფაკულტეტის დოქტორანტებს სხვადასხვა მოთხოვნები აქვთ პუბლიკაციების გამოქვეყნების მხრივ, რაც არ არის სამართლიანი. მან აღნიშნა, რომ ამ მხრივ მოთხოვნები საკმაოდ მაღალია, რაც ამ ეტაპზე არ არის სწორი გადაწყვეტილება.

აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ ასევე გამოთქვა შენიშვნები პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებით, ასევე საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიის წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

**ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ** ყველა საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განმარტებები და სთხოვა პროფ. ი. ანანიაშვილს განმარტებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ი. ანანიაშვილმა გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

დებულების მე-11 პუნქტი-სადაც ჩაწერილია ფაკულტეტის ვალდებულება დოქტორანტისადმი.

**დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ** შეაჯამა დისკუსია და აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა მისაღებია და გათვალისწინებული იქნება.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: ეთხოვოს ფაკულტეტის წარმომადგენლებს აკადემიურ საბჭოში, აკად. ა. სილაგაძეს, პროფ. ე. მექვაბიშვილსა და პროფ. თ. შენგელიას, ყველა შენიშვნის გათვალისწინებით დაიცვან ფაკულტეტის პოზიცია.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ცვლილებები თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, კერძოდ:

**1. მე-3 მუხლი დ) პუნქტი გაუქმდეს და დარჩეს მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;**

„8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე."

**2. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი**
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია (როგორც წესი კომისიის ერთი წევრის სახით).

**გაუქმდეს (ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება).**

**3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„მუხლი 11. დისერტაციის გამოქვეყნება
დოქტორანტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას."
**აღნიშნული ცვლილება ეხება ფაკულტეტს და ფაკულტეტის ნაცვლად დოქტორანტი ვალდებულია.**

**4. მე-8 დანართის შესაბამისად:**
1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

2. დასაბუთებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 800 სიტყვა).

**სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის შეფასება სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა) არ არის რეკომენდებული. აღნიშნულ რეგულაციას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება.**

**მოისმინეს:** თსუ მინიმალური სტანდარტის განხილვა

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ ისაუბრა იმ შენიშვნებზე, რაც გამოითქვა აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით. მან მუხლების მიხედვით განიხილა ყველა შენიშვნა.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.**

**აზრი გამოთქვეს:** აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. დ. ნარმანიამ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ნ. ხადურმა, პროფ. ი. ანანიაშვილმა.

**აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის შეფასება სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა) არ არის რეკომენდებული. აღნიშნულ რეგულაციას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება.

**დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ** შეაჯამა დისკუსია და აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა მისაღებია და გათვალისწინებული იქნება.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გაიგზავნოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციები დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტის პროექტში ცვლილებების შესახებ:

1. **მუხლი 4., პუნქტი 4-ის შესაბამისად: დოქტორანტურაში სწავლის პირობები**

4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით ფაკულტეტის საბჭოსათვის გათვალისწინებული უფლებამოსილებები, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა გადაეცეს სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას.
**მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას**

2. მე-**13** მუხლის**,** მე-**3** პუნქტის შესაბამისად:

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

**აღნიშნული ცვლილება ეხება ფაკულტეტს და ფაკულტეტის ნაცვლად იკითხებოდეს: დოქტორანტი ვალდებულია.**

3. მე- **14** მუხლი: გარდამავალი დებულებები

1. 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის

ინტერნაციონალიზაცია, რაც განხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტების შესაბამისი დებულებებით, რომლებიც მოქმედებდა დოქტორანტების ჩარიცხვის მომენტისთვის.
2. 2019-2020 სასწავლო წლიდან შეეზღუდოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, რომელიც ხელმძღვანელობს 7-ზე მეტ დოქტორანტს.

3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტებზე ამ დებულების მე-9 მუხლის ჩანაწერი გავრცელდება 2021 წლიდან. 2021 წლამდე იურიდიულ ფაკულტეტზე სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის საკმარისია ერთი სტატიის გამოქვეყნება სადოქტორო დისერტაციის თემაზე სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც გამოდის უცხო ენაზე და რომელთა ჩამონათვალს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

მე- 14 მუხლს: გარდამავალი დებულებები, დაემატოს მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებზე ამ დებულების მე-9 მუხლის ჩანაწერი გავრცელდება 2021 წლიდან. 2021 წლამდე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის სტატიის გამოქვეყნება სადოქტორო დისერტაციის თემაზე სამეცნიერო ჟურნალში, რომელთა ჩამონათვალს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

**4. მე-8 დანართის შესაბამისად:**

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

2. დასაბუთებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 800 სიტყვა)

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი #18

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი– 26, სტუდენტი– 0, სულ– 26 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

*3.* თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და ,,ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

5. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია ჯიბლაძის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

6. თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

7. თსუ მინიმალური სტანდარტის განხილვა

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

8. აკადემიურ პოზიციაზე კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების შესახებ

*/ფაკულტეტის დეკანი გ. ღაღანიძე/*

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

*/ფაკულტეტის დეკანი გ. ღაღანიძე/*

10. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 26**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის #18 სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

პროფ. ე. ხარაიშვილმა ისაუბრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ:

1. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“**

   ა. პროგრამის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში პროფ. ელენე ხარაბაძე ჩანაცვლდა პროფ. ლევან საბაურის მიერ;

ბ. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორად ერთი სემესტრის ვადით დამტკიცდა პროფ. თემურ შენგელია;

გ. განისაზღვრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“ შუალედური გამოცდებისთვის ორკვირიანი პერიოდი (მე-8 და მე-9 კვირა);

დ. მენეჯმენტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „კროს-კულტურული მენეჯმენტი“ მაგისტრატურის მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო სწავლების საფეხურიდან გადატანილ იქნა ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსად და იქნება „ ორგანიზაციულ ქცევასთან“ ერთად პარალელურად. აღნიშნულ სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და არის წინაპირობის გარეშე;

ე. მენეჯმენტის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „მმართველობითი კონსალტინგი“ მაგისტრატურის სწავლების საფეხურიდან გადატანილ იქნა ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსად და იქნება „ საზოგადოებრივ ადმინისტრირებასთან“ ერთად პარალელურად. აღნიშნულ სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და არის წინაპირობის გარეშე;

ვ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსს „მმართველობითი აღრიცხვა I“ მოეხსნა წინაპირობა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ და არის წინაპირობის გარეშე;

